აქციების კონტექსტში სისხლის სამართლის წესით **დაკავებული პირების საქმეები**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია სხვადასხვა რაიონულ და საქალაქო სასამართლოში მონიტორინგს უწევს სისხლის სამართლის სხდომებს, რომლებზეც ბრალდებულ პირთა საქმეებიც დაკავშირებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების განხორციელებასთან. ამ მიზნით, საია აკვირდება **2024 წლის ნოემბერი-დეკემბრის აქციებსა** და **2024 წლის აპრილი-მაისის აქციების კონტექსტში** დაკავებული პირების სასამართლო სხდომებს.

საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლები ზემოთ ხსენებულ აქციებთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის **ყველა სხდომაზე** ბრალდებულ პირთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით **შუამდგომლობდნენ პატიმრობის გამოყენებას.**

სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობები და ყველა ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა პატიმრობა. აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობა პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე მხოლოდ 2 შემთხვევაში, ალექსანდრე ელისაშვილის და დაკავებული არასრულწლოვანის საქმეზე, შეიცვალა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახით.

ქვემოთ მოცემულია შესაბამისი ინფორმაცია:

(1) 2024 წლის ნოემბერი-დეკემბრის აქციების კონტექსტში დაკავებული პირების შესახებ ინფორმაცია

ბრალდებული	ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით	მოსამართლე	სასამართლოს მიერ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე
1. **მათე დევიძე**	**353 პრიმა. 1.-** პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა.	მოსამართლე **დავით კურტანიძემ** განიხილა მათე დევიძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა.	**პატიმრობა**
2. **ანატოლი გიგაური**	**353 პრიმა. 1.-** პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა.	მოსამართლე **ლელა მარიდაშვილმა** განიხილა ანატოლი გიგაურის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა.	**პატიმრობა**

ბრალდებული	ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით	მოსამართლე	სასამართლოს მიერ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე
3. **გიორგი მინდაძე**	**353 პრიმა. 1.-** პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა.	მოსამართლე **თეონა ეპიტაშვილმა** განიხილა გიორგი მინდაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა.	**პატიმრობა**
4. **არჩილ მუსელიანცი**	**187.2. -** ნივთის დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საშიში საშუალებით.	მოსამართლე **ნანა შამათავამ** განიხილა არჩილ მუსელიანცის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა.	**პატიმრობა**
5. **დავით ლომიძე** 6. **თემურ ზასოხაშვილი**	**353 პრიმა. 1.-** პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა.	მოსამართლე **ნანა შამათავამ** განიხილა დავით ლომიძის და თემურ ზასოხაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა.	**პატიმრობა**
7. **ანტონ ჩეჩინი**	**260 -** ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება.	ინფორმაცია ზუსტდება.	**პატიმრობა**
8. **ანზორ კვარაცხელია** 9. **საბა ჯიქია**	**353 პრიმა. 1.-** პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა.	მოსამართლე **დავით მგელიაშვილმა** განიხილა ანზორ კვარაცხელიას და საბა ჯიქიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა.	**პატიმრობა**
10. **დავით ხომერიკი**	ინფორმაცია ზუსტდება.	ინფორმაცია ზუსტდება.	**პატიმრობა**

ბრალდებული	ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით	მოსამართლე	სასამართლოს მიერ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე
11. ნიკოლოზ ჯავახიშვილი **12. თორნიკე გოშაძე** **13. ირაკლი მიმინოშვილი** **14. ზვიად ცეცხლაძე** **15. ვეფხვო კასრაძე** **16. ვასილ კაძელაშვილი** **17. გიორგი გიორგაძე** **18. ინსაფ ალიევი**	**225 -** ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა.	მოსამართლე **ირაკლი ხუსკივაძემ** განიხილა ხსენებული პირების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა.	**პატიმრობა**
19. საბა სხვიტარიძე	**353 პრიმა.2. -** პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფა პოლიციელის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.	მოსამართლე **ლელა მარიდაშვილმა** განიხილა საბა სხვიტარიძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა.	**პატიმრობა**
20. ანდრო ჭიჭინაძე **21. ონისე ცხადაძე** **22. გურამ მირცხულავა** **23. ჯანო არჩაია** **24. ლუკა ჯაბუა** **25. რუსლან სივაკოვი**	**225.2.-** ჯგუფური ძალადობაში მონაწილეობა.	მოსამართლე **თამარ მჭედლიშვილმა** განიხილა ხსენებული პირების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა.	**პატიმრობა**
26. რევაზ კიკნაძე **27. გიორგი ტერაშვილი** **28. ვალერი თეთრაშვილი** **29. სერგეი კუხარჩუკი** **30. ირაკლი ქერაშვილი**	**225 -** ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა.	მოსამართლე **თამარ მჭედლიშვილმა** განიხილა ხსენებული პირების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა.	**პატიმრობა**

ბრალდებული	ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით	მოსამართლე	სასამართლოს მიერ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე
31. გიორგი ახობაძე	**260.6.ა. -** ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით.	მოსამართლე **ლელა მარიდაშვილმა** განიხილა გიორგი ახობაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა.	**პატიმრობა**
32. თედო აბრამოვი	**260 -** ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა.	მოსამართლე **ირაკლი ხუსკივაძემ** განიხილა თედო აბრამოვის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა.	**პატიმრობა**
33. ნიკოლოზ კაციია	**260.6.ა. -** ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით.	მოსამართლე **თამარ მჭედლიშვილმა** განიხილა ნიკოლოზ კაციას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა.	**პატიმრობა**
34. დანიელ მუმლაძე	**187.2.გ -** ნივთის დაზიანება ან განადგურება ჯგუფურად.	მოსამართლე **თეონა ეპიტაშვილმა** განიხილა დანიელ მუმლაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა.	**პატიმრობა**
35. გურამ ხუტაშვილი	**187.2.გ. -** ნივთის დაზიანება ან განადგურება ჯგუფურად.	მოსამართლე **არსენ კალატოზიშვილმა** განიხილა გურამ ხუტაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა.	**პატიმრობა**
36. მამუკა ჯორბენაძე **37. გურამ მიქელაძე** **38. დავით გვიანიძე** **39. გიორგი დავითაძე** **40. ანდრო კაკაბაძე**	**126. 1 პრიმა. ბ** და **გ. ქვეპუნქტი -** ძალადობა ჯგუფურად ორი ან მეტი პირის მიმართ.	მოსამართლე **ლევან ყოლბაიამ** განიხილა ხსენებული პირების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა.	**პატიმრობა**
41. ლ. ჩ.	**187 -** ნივთის დაზიანება ან განადგურება.	ინფორმაცია ზუსტდება.	**ინფორმაცია ზუსტდება.**

(2) სისხლის სამართლის საქმეები, რომლებზეც ბრალდებული პირების მიმართ პირველი წარდგენის სხდომაზე აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობა პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე შეიცვალა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახით.

ბრალდებული	ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით	მოსამართლე	სასამართლოს მიერ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე
42. **მ.გ** *(ახასხუღწოვანი)*	**187.2.ა. -** ნივთის დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით.	მოსამართლე **ეკა ბარბაქაძემ** აღკვეთი ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობა პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე შეცვალა მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემით.	**მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემა**
43. **ალექსანდრე ელისაშვილი**	**156.2.ა. -** ადამიანის დევნა პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით.	მოსამართლე **თამარ მჭედლიშვილმა** სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე ალექსანდრე აელისაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოიყენა პატიმრობა, რომელიც პირველი წარდგენის სხდომიდან 10 დღის გასვლის შემდეგ პროკურატურის შუამდგომლობით შეიცვალა - გირაო 4000 ლარი.	**გირაო 4000 ლარის ოდენობით**

(3) 2024 წლის აპრილი-მაისის აქციების კონტექსტში დაკავებული პირების შესახებ ინფორმაცია

ბრალდებული	ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით	მოსამართლე	სასამართლოს მიერ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე
44. **ომარ ოკრიბელაშვილი** 45. **საბა მეფარიშვილი**	**187.2. -** ნივთის დაზიანება ან განადგურება ჯგუფურად	მოსამართლე **ნათია გუდაძე** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	**პატიმრობა**

ბრალდებული	ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით	მოსამართლე	სასამართლოს მიერ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე
46. გიორგი ოკმელაშვილი	**353 პრიმა.1. -** პოლიციელზე, თავდასხმა; **და 260 -** ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება.	მოსამართლე **გიორგი გელაშვილი** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	**პატიმრობა**
47. ფრიდონ ბუბუტეიშვილი	**187.1. -** ნივთის დაზიანება ან განადგურება; **353 პრიმა.1.-** პოლიციელზე, თავდასხმა.	მოსამართლე **ზვიად შარაძე** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	**პატიმრობა**
48. გიორგი კუჭუაშვილი **49. დავით კოლდარი**	**187.1. -** ნივთის დაზიანება ან განადგურება; **353 პრიმა.1.-** პოლიციელზე, თავდასხმა.	მოსამართლე **მიხეილ ჯინჯოლია** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	**პატიმრობა**

ამ დროისთვის სასამართლომ **გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა** შემდეგი პირების მიმართ სისხლის სამართლის საქმეებზე:

50. ირაკლი მეღვინეთუხუცესი;
51. ანდრეი რაუტბერგი;
52. ვაჟა დურგლიშვილი.

ასევე, (53) **გიორგი შანიძის** მიმართ, რომელიც, საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა **შეიწყალა.**

საიამ არაერთ განცხადებაში აღნიშნა, რომ აქტივისტების მიმართ მიმდინარე საქმეები ხელოვნურად ჭიანურდებოდა სავარაუდოდ იმ საფუძვლით, რომ პრეზიდენტს არ ჰქონოდა სხვა აქტივისტების შეწყალების უფლებამოსილება.[1]

გარდა დასახელებული საქმეებისა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია სხვადასხვა რაიონულ და საქალაქო სასამართლოში აკვირდება სხვა სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო სხდომებს, რომელთა მიმართაც მაღალია საზოგადოების ინტერესი ან/და რომლებშიც შესაძლოა იკვეთებოდეს სისხლის სამართლებრივი მექანიზმების პოლიტიკური ნიშნით გამოყენება.

სასამართლო სხდომების შესახებ ინფორმაცია განახლებადია, ამასთან გვსურს საზოგადოებას და დაინტერესებულ პირებს მივმართოთ, მონიტორინგის განხორციელების მიზნით მოგვაწოდონ ინფორმაცია ელექტრონულ ფოსტაზე აქტივისტების მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით. ელექტრონული ფოსტა: Courtmonitoring@gyla.ge.

1 რუსული კანონის საპროტესტო აქციების დროს დაკავებული გიორგი ოკმელაშვილის საქმის განხილვას ბრალდებისა და სასამართლო ორგანოები აჭიანურებენ, საია, 12.12.2024, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/okmelashvilis-saqmis-ganxilva-chianurdeba-gyla;
„რუსული კანონის“ საპროტესტო აქციების მონაწილე პირების სისხლის სამართლის საქმეების განხილვას სასამართლო აჭიანურებს, საია, 24.11.2024, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/rusuli-kanonis-saprotesto-aqciis-monawileta-sasamrtlo-chianurdeba